



სილქნეტმა წარმატებით დაასრულა 200 მილიონის აშშ დოლარის
ევროობლიგაციების გამოშვება და დაფარა საბანკო სესხები

2019 წლის 3 აპრილს, საქართველოს წამყვანმა სატელეკომუნიკაციო ოპერატორმა, სილქნეტმა წარმატებულად დაასრულა \$200 მლნ 5-წლიანი 11%-იანი არაუზრუნველყოფილი ევროობლიგაციების გამოშვება („ფასიანი ქაღალდები“).

შედეგად, დაიფარა, დაახლოებით, 110 მლნ დოლარის და დაახლოებით, 61 მლნ ლარის საბანკო სესხები, თანახმად ობლიგაციების განთავსების მიზნობრიობისა.

სილქნეტის შესახებ

სილქნეტი ქვეყნის წამყვანი სატელეკომუნიკაციო ოპერატორია, რომელიც სთავაზობს ბიზნესსა და მომხმარებლებს სრული სპექტრის სატელეკომუნიკაციო სერვისებს, ისეთს, როგორცაა მობილური მომსახურება, ფიქსირებული ინტერნეტი, მაუწყებლობის ტრანზიტი და ფიქსირებული ტელეფონია.

სილქნეტს მინიჭებული აქვს B1/სტაბილური მუდისის (Moody's) და B+/სტაბილური ფიჩის (Fitch Ratings) საკრედიტო რეიტინგები.

სილქნეტი ფართო სააბონენტო ბაზას მოიცავს მთელი ქვეყნის მასშტაბით:

- 1.77 მილიონი მობილური ქსელის აბონენტი
- 297,000 ფიქსირებული ქსელის აბონენტი
- 278,000 ფიქსირებული ბროუდბენდის აბონენტი
- 228,000 ფასიანი ტელევიზიის მომხმარებელი

(მონაცემები წარმოდგენილია 31/12/2018 მდგომარეობით; წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია)

სილქნეტი კავკასიის წამყვანი საინვესტიციო ჯგუფის, სილქ როუდ ჯგუფის ნაწილია.